AB5

შ. პ. ს. ეი ბი 5, ინგოროყვას ქ. 19, 0179
თბილისი

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქ.თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა,
№18 და №18ა
საკადასტრო: 01.72.14.035.980

მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი

დირექტორი:	დ. ლოსაბერიძე
არქიტექტორი:	ნ. კასრაძე
არქიტექტორი:	დ. ლოსაბერიძე
დაამუშავა:	ბ. გოგოლაური

ქ. თბილისი 2024წ

შინაარსი

ა/--განმარტებითი ბარათი /A-4/;

ბ/--კალენდარული გეგმა /A-3/;

გ/--გრაფიკული ნაწილი /A-3/:
ნახაზი მო-1, მო-2

ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20"-ის თანახმად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ასმათის ქ№№18,18ა, ს/კ 01.72.14.035.980. საპროექტო ობიექტი—მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი სარდაფით. მიწისქვეშა მოცულობაში განლაგდება ავტოსადგომი. შენობა შედგება: 1 მიწისქვეშა და 9 მიწისზედა სართულისაგან. საპროექტო ობიექტი გადაწყვეტილია მონოლითურ რკინაბეტონის ვარიანტში. 0.00 შეესაბამება 452.80მ-ს. საძირკველი იქნება მონოლითური რკინაბეტონის ფილა. საძირკვლის ფუძედ მიღებულია მუქი მოყავისფრო, თიხნარები, ღორღის, ხვინჭის და კენჭების ჩანართებით. საპროექტო ტერიტორია შემოღობილია კაპიტალური ღობით. დღეისათვის შესრულებულია მაღლივი ნაწილის ნულოვანი ციკლი. შეზღუდული პირობების გამო ავტოსადგომის ნაწილი "1-7" ---"ა-დ" და "6-7"----"ბ-ზ" ღერძების შორის გაკეთდება მაღლივი ნაწილის კარკასის მოწყობის შემდეგ.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

--მიწის ნაკვეთის ფართობი----------1463.00მ^2;
--საერთო ფართობი----------3277.75მ^2;
--კომერციული ფართობი----------258.15მ^2;
--ავტოსადგომის ფართობი----------508.10მ^2;
--სამშენებლო მოცულობა----------12442.06მ^3;
--შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე----------32.70მ

გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ფენები:
--ფენა №1 -- ნაყარი გრუნტი;
--ფენა №2 –მუქი მოყავისფრო-მოყვითალო თიხნარები, ღორღის და ქვიშნარების ჩანართებით;
--ფენა №3—მოყავისფრო-მონაცისფრო თიხები, ხვინჭის და ქვიშების ჩანართებით.
გრუნტის წყალი გამოვლინდა მიწის ზედაპირიდან 2.50 სიღრმის ინტერვალში
სამშენებლო უბანი მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას.

2. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად. ანალოგი გვ. 480 პ.6-ის T=11.00თვე. გვ 477 პ 19-ის და გვ 483 პ12-ის მიხედვით T=11.00+0.50 x 8.00=15.00თვე. გვ 477 პ 16-ის მიხედვით T=15.00+0.50 x 2.58=16.30თვე. გვ 2 პ 11-ის მიხედვით T=16.30+4.00=20.30 თვე. გვ. 4 პ. 17-ის მიხედვით T=20.30x1.15=24.00 თვე, სადაც 2.00 თვე----მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა. დარჩენილი სამუშაოების ხანგრძლივობა მიღებულია **22.00 თვე** /იხილე კალენდარული გეგმა/.

მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები უკვე შესრულებულია.

3 . გრუნტის დამუშავება მოხდეს ექსკავატორით და ხელით. დამუშავებული გრუნტი მთლიან მოცულობაში უნდა იქნას დატვირთული და გატანილი. ქვაბულის დამუშავებისას გათვალისწინდეს: "ა" და "ი" ღერძების გასწვრივ ქვაბულის კედლის დროებითი გამაგრება, გრუნტის წყლის არსებობის გამო წყალქცევითი სამუშაოების ჩატარება.

გრუნტის დამუშავება მოხდეს СНиП-III-4-80, ცხრ№4-ის თანახმად.

დამუშავების სიღრმე **1.5მ-მდე**, გრუნტი დამუშავდეს:

--ნაყარი 1:0.67;
--თიხა, თიხნარი 1:0.

დამუშავების სიღრმე **3.0მ-მდე**, გრუნტი დამუშავდეს:

--ნაყარი 1:1;
--თიხა, თიხნარი 1:0.25.

დამუშავების სიღრმე **5.0მ-მდე**, გრუნტი დამუშავდეს:

--ნაყარი 1:1.25;
--თიხა, თიხნარი 1:0.50.

გრუნტი დამუშავებისას მიეკუთვნება შემდეგ ჯგუფს:

--ნაყარი--------სამივე ტიპის დამუშავებისას –2 ჯგუფს;
--თიხები--------ბულდოზერით 3 ჯგუფს, ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით –4 ჯგუფს

4. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს სამუშაოების განხორციელებას სტაციონალური ბეტონის ტუმბოს და სამშენებლო საწევლის საშუალებით. ორივე მექანიზმი დაყენდეს სამშენებლო ტერიტორიის ფარგლებში, "ნ" ღერძთან. უსაფრთხოების თვალსაზრისით "ი" ღერძის გასწვრივ, იატაკის დონეზე გაკეთდეს ბადიანი საფარები.

დარჩენილი სამუშაოების განხორციელების რიგები და ეტაპები:

მშენებლობის მეორე რიგი:

--მეოთხე ეტაპი---------- ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან----------**240 დღე;**

--მეხუთე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა----------**60 დღე;**

--ავტოსადგომის მოცულობის მოწყობა "1-7---"ა-დ" და "6-7"----"ბ-ზ" ღერძების შორის----------**90 დღე;**

--მეექვსე ეტაპი----------არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა----------**120 დღე;**

--მეშვიდე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა----------**60 დღე;**

--მერვე ეტაპი----------ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი----------**60 დღე;**

--მეცხრე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები----------**120 დღე;**

--მეათე ეტაპი----------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები----------**30 დღე.**

5. უსაფრთხოების ტექნიკა

გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცვლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან.

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონის მიქსერის საშუალებით.

საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.

მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

7. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1, მო-2 ერთად.

ТП-5 –ის ტექნიკური დახასიათება

1	ტვირთამწეობა	500.00კგ
2	აწევის სიმაღლე	50.00მ
3	აწევის სიჩქარე	0.50მ/წ

სტაციონალური ბეტონის ტუმბო **Putzmeister P-715-ის** ტექნიკური დახასიათება

1 დანადგარის ზომები----------3.00x1.39x1.39მ
2 მექანიზმის წონა----------1700.00კგ
3 წვდომა:
-ვერიკალურად----------60.00მ
-ჰორიზონტალურად----------200.00მ

შენიშვნა: მექანიზმის მარკა შეიძლება მოხდეს ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად!

ბ/ კალენდარული გეგმა 22.0 თვე

| № ეტ | მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები | დღე | თვეები | | |



ექსპლიკაცია

1 საპროექტო შენობა
2 დროებითი დახურული საწყობი
3 დროებითი კვების "ოთახი"
4 სამუშაოთა მწარმოებლის "ოთახი"
5 დროებითი ბიოტუალეტი
6 დროებითი საყარაულო
7 არსებული შემოსასვლელი
8 არსებული ღობე
9 ბეტონის მიქსერი
10 სამშენებლო საწველა
11 დროებითი ღია სასაწყობო
12 სტაციონალური ბეტონის ტუმბო

პირობითი აღნიშვნები

- -საპროექტო შენობის მიწისქვეშ მოცულობის გარე კონტური
- -საპროექტო შენობა
- -არსებული ღობე
- -დროებითი "ნაგებობა"

შენიშვნები:

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები:

AB5

შ. პ. ს. ეი ბი 5, ინგოროყვას ქ. 19, 0179
თბილისი

დირექტორი:	დ. ლოსაბერიძე
არქიტექტორი:	ნ. კასრაძე
არქიტექტორი:	დ. ლოსაბერიძე
დაამუშავა:	ბ. გოგოლაური

პროექტის სახელწოდება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქ.თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, №18 და №18ა
საკადასტრო: 01.72.14.035.980

მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი

ნახაზი:
სამშენებლო გენგეგმა

ფურცელი: მო-1

მასშტაბი: 1:300 ფორმატი: A3

02.04.2024



Инв. № подл. | Подп. и дата | Взам. инв. №

Инв. № дубл.

Подп. и дата

Изм. Кол.уч. Лист № док. Подп. Дата

АВ5

ТЭ. Э. Ь. ЭО ЬО 5, ПЬЬПМЛЭВЭЬ d. 19, 0179
ШЬОЖЛОЬЛ

ЯОЛЛЭЬЬЛОЛЛ:	Я. ЖЛЬЬЬЬЭЛОЛЭ
ЬЛЛЛОЬЬЭЬЬЛОЛ:	Б. ЬЬЬЬЛЬЭЛОЛ
ЬЛЛЛОЬЬЭЬЬЛОЛ:	Я. ЖЛЬЬЬЬЭЛОЛЭ
ЯЬЬЭЭЬЬЭЬЭ:	Э. ЭЛЬЬЛЖЖЬЭЛО

ЭЛЛЛЭЬЬЬЬЭЬЬЬЭ ЬЬЬЭЖЛЛЭЬЬЭ:

ВЛЛЭЬЬЛЖЖЭЬЬЭЬЬЭЬЬЭЬЬЭЛЖЭЬЬЭЛЖЭ
ЬЬЬЖЛО

ЛЛЛЬЖЛОЬЬ, ЬЛЖЭЬЬЖЛО ЯОЯЛЛЭЬО, ЬЬЬЬЬЛЛЬ ЛЭЖЬ,
№ЯЯ Я5 №ЯЬ5
ЬЬЬЬЬЯЬЬЬЬЬЛЛ: 0172.14.035980

ЭЭЭЛЭЬЬЖЛЭЬЬЛ ЛЛЬЛЬЭЬЬЭЬЬЭЬЬЛ
ЬЬЭЖЛО

ЬЬЭЬЬЭЬЬ:

ЬЬЭЬЬЭЬЬЭЬЬЛ ЭЛЭЭЬЬЭЬЬЭЬЬЭЬЬ